

მწყების კეთილმან

ეროვნული
სიმუშებულები



მე ვარ მწყების კეთილმან კეთილმან სული თვისი
დაძსდეის ცხოვართათვის. იას. 10—11.

გვარდე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული
ცათა შინა, ერთიასათვის ცალდვილისა. ლუკ. 15—4.

მივვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და
მე განგისვენო თქვენ. მათ. 11 28.

№ 12

1883—1897

30 იან ის 1



ფინლიანდიის მთავარ-ეპისკოპ. ანტონი.

განმარტება სიტყვებისა, რომელიც დაწერილია
მღვდლის მკერდის ჯვარზე.

ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ ალექსან-
დრეს ძის წმიდა გვირგვინოსნების სანახსოვროდ
რსესთის მართლ-მადიდებელი ეკკლესის ჟელ
მღვდლებს უმაღლესად ნება ებოძათ ატარონ მკერ-
დზე ვერცხლის ჯვარი, რომლის უკანა პირზე და-
წერილია შემდეგი მრავალ მნიშვნელობიანი სიტკვე-
ბი, ამოღებული წმ. მოციქულის პავლესი ტიმოთე/
სადმი პირველ ეპისტოლეს მეოთხე თავიდან: „სახე-
ექმნენ მორწმუნეთა მათ, სიტყვითა, სელითა, სიყვა-
რულითა, სულითა, სარწმუნოებითა, სიწმიდითა“
(12 მეს.).

რა აზრია გამოხატული ამ სიტყვებში და ან



სახელდობრ ეს სიტყვები რატომ არის დაწერილი წმიდა ჯვარზე, რომელიც ნიშანია მღვდლობის ხა-რისხისა?

ერთი ნასწავლი ღვთის-მეტყველი ამბობს, რომ წმ. მოციქულის ხეენებულ სიტყვებში მოკლედ გა-მოხატულია უმთავრესი დარიგება, რომლითაც მღვდელმა უნდა იხელმძღვანელოს თავის სიცოცხლე-ში. და მართლაც, თუ ჩვენ ჯეროვანად ჟევიგნებთ თითოეული მოთხოვნილების ახრს, რომელიც გა-მოხატულია წმ. მოციქულის ზემოთ-აღნიშნულ და-რიგებაში, დავინახავთ, რომ ამ დარიგებაში მოკლედ გამოხატულია ეკკლესის მწყემსის მთელი მოღვაწეობა. ამ დარიგებაში პირველად ითხოვება მღვდლი-საგან, რომ იგი იქმნეს მაგალითი მორწმუნეთავის, ე. ი. ყოველთვის და ყოველივეში იყვეს, როგორც წმ. ოთანე აქროპირი იტყვის «ცოცხალი სჯული და წესდება კეთილი ცხოვრებისა». ცერძოდ მღვდლის მოვალეობას შეადგენს, რომ იგი იქმნეს მორწმუნე-თავის მაგალითი. ამ მოთხოვნილების ძალით ეკ-კლესის მწყემსი დიდის ყურადღებით უნდა ექცე-ოდეს თავის თავს, რომ მის პირს არ წამოცდეს რაიმე ცუდი, უზრდელი, შეუფერებელი და ან სა-მარტვინო რამ სიტყვა. ჩვენი უბრალო ხალხისაგან ხშირად გაიგონებთ ლანძღვა-გინებას და სხვა ცუდ სიტყვებს. მღვდლის წმიდა მოვალეობას მოსპოს ეს ცუდი სენი თავის სულიერ შეილთა შორის და ეს ყოველივე უნდა ჩაიღინოს არა მარტო თავისი სიტ-ყვით და დარიგებით, არამედ თავისი საკუთარი მაგალითით. მართალია, ეს ძლიერ ძნელია. თვითონ წმ. მოციქული იაკობი იტყვის: «რომელი სიტყვითა არა ჰასკრდებოდეს, იგი სრული კაცი არს» (III. 2); და თუ ყოველი ქრისტიანესათვის სავალდებულოა სრულ იქმნეს, ეს უმეტესად სავალდებულოა მწყემს-თავის, რომელიც თავისი თანამდებობისამებრ დად-გენილი არიან წინამდღვრად სამწყსოთა. და ან კი როგორ შეუძლია მღვდელს მოსპოს თავის სამწყსო-ში ცუდ ენაობა, თუ თვითონ თავისუფალი არ არის ამ ნაკლულებანებისაგან? როგორ შეუძლია მას ამხილოს ცუდ სიტყვაობა, თუ თვითონ, განსაკუთ-რებით, როგორ გაჯავრებულია, ივიწყებს თავის წო-დებას და ხარისხს და ხმარობს უზრდელ სიტყვებს.

მაგრამ მოვალეობა მღვდლისა იქმნეს მაგალითი სიტყვით, მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ არ ჰლაპარაკოს „ზრახვანი ბოროტნი, რომელიც გან-

ხრწნიან წესთა კეთილთა“ (ა კორით. 15, 33.), არ თქვას ისეთი რამ, რასაც შეუძლია შეუძლებელის კაცის სმენა. ამასთანავე მწყემსი ვალდებულია უჩვე-ნოს სამწყსოს მაგალითი, თუ როგორ უნდა ისარ-გებლოს კაცმა მეტყველების ნიჭით: იგი გაბედულად და შეუშინებლად უნდა აღიარებდეს ჭეშმარიტებსა და არ უნდა დუმდეს მაშინ, როცა საჭიროა ლაპა-რაკი; წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. როცა ჭეშმა-რიტება ითხოვს მფარველობას, ხოლო მღვდელი ხმას არ იღებს, იგი მიერზავსება მოჯამაგირეს, რო-მელზედაც იტყვის უფალი წინასწარმეტყველის პი-რით (გამოს. VI, 10). ამასთანავე მწყემსი უნდა ცდილობდეს, რომ სიტყვები, რომელნიც გამოვლენ მისი პირისაგან, კუუის დასარიგებელი და მისაბაძი იქმნეს სამწყსოთავის, რომ მწყემსზე ყველგან და ყოველთვის შეიძლებოდეს ვთქვათ სიტყვები უფლისა, რომელიც იტყვის წინასწარმეტყველის მალაქიას პირით.

ყოველ შემთხვევაში მღვდლის სიტყვა, არიგებს იგი ვინმეს, თუ ამხილებს, უნდა იქნეს წყნარი და სასიამოვნო, აღვსილი კეთილი სურვილებით და მოკლებული ყოველივე მტრობას და შურს; სიტყვა-პასუხი მღვდლისა უნდა იქმნეს შესაფერი როგორც მისი წოდებისა ისე მისი მსახურების სიწმიდისა.

მღვდელი მაგალითი უნდა იქმნეს სამწყსოსათ-ვის თავისი სიტყვა-პასუხით, მაგრამ ამავე დროს იგი მაგალითი უნდა იქმნეს თავისი ცხოვრებითაც. და ასეთ მაგალითს ის უჩვენებს სამწყსოს მაშინ, როცა თავის ცხოვრებაში აღასრულებს ყოველივე მას, რაც ითხოვება სახარების სიტყვით: როცა ლოცვით განს-წმედებს ყოველივეს, კრძალულებით მოეკიდება ყო-ველივე წმიდა საგანს, სისრულით აღასრულებს ყო-ველივე მას, რაც ნაბრძანები გვაქვს უფლისაგან ანუ წმ. ეკკლესისაგან, მოერიდება ყოველივე საქმეს, რომელსაც შეუძლია შეაცდინოს სხვები და ღვთის წინაშე პასუხის გებაში ჩააგდოს. როცა ყოველივე ამას აღასრულებს მწყემსი, იგი იქნება მტკიცე აღ-მასრულებელი თავისი წოდებისა და ამასთან ერთად უჩვენებს თავის სამწყსოს ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრების მაგალითს. შეოღულდ ამ შემთხვევაში მწყემსი იქნება კეთილი წინამდღვრარი თავისი სამწყ-სოისა, რომელიც მიჰყევბა მას კეთილ გზაზე, ვინა-იდგან ისე არაფერი არ იზიდავს ხალხს, როგორც ცოცხალი მაგალითი, რომელსაც უჩვენებენ მათ

შეუფროსენი, ანუ, საზოგადოდ, ის პირნი, რომელ-ნიც წინა დგანან ბრძოზე. კეთილი ცხოვრების მე-ქონე მღვდელმა კიდევ რომ არ ასწავლოს სამწყსოს სიტყვით, თავისი კეთილი ცხოვრებით მაინც დიდი ზედ გავლენა აქვს მრევლზე. პირიქით, ვიტყვით წმ. გრიგორი ორმეტყველის სიტყვებით: „ეკკლესიის წევრთაგან იმოდენად მავნებელი არავინ არის თვი-თონ ეკკლესიისთვის, როგორც ისეთი მღვდელ-მო-სამსახურენი, რომელნიც, ცხოვრებენ რა ცუდათ, თავს იფარვენ მღვდელობის სახელით და ხარისხით: ვინაიდგან არავის სამწყსოთაგანს არ შეკულია ამხი-ლოს თავისი მწყემსი ცუდ საქმეებში; რაც უნდა კარგად ასწავლოს სამწყსოს ცუდი ყოფა-ქევის მე-ქონე მღვდელმა, მის სწავლა-დარიგებას აჩავითარი ზედ გავლენა არა აქვს სამრევლოზე. „რას მედიდუ-რობ, ამბობს წმ. იოანნე ოქროპირი, როცა ასწავლი სიტყვით; აღვილია მაღალი აზრებით მსჯელობა; შენ მასწავლე მე შენი ცხოვრებით, რომელიც არის შვენიერი ქადაგება“. „ანუ სრულებით ნუ ასწავლი, ანუ ასწავლე შენი ცხოვრებით, იტყვის წმ. დამას-კინი; თუ არ გინდა, რომ სიტყვით უბრძანო რისი-მე გაკეთება და საქმით კი მოაშლევინო“.

ამ სახით მწყემსი განსაკუთრებით უნდა ცდი-ლობდეს, რომ მისი ცხოვრება იქნეს წმიდა და კეთილის მყოფელი, ღვთის-ნიერი—ერთი სიტყვით, სრულე-ბით თანახმა სახარების სწავლის მოთხოვნილებისა, ასე რომ იგი თავისი ცხოვრებით ნამდვილად იქნეს „ნათელი ქვეყნისა“, მარილი მიწისა, მაგალითი ცხოვრებით სამრევლოსათვის.

შემდეგ წმ. მოციქულის სწავლისაებრ, მღვდელ-მა მაგალითი უნდა მისცეს სამწყსოს „სიყვარულითა“, ამ მოთხოვნილების ძალით მღვდლისათვის არ კმარა მხოლოდ მის მოვალეობათა ბეჯითობით აღსრულება და სიტყვით და საქმით ქრისტეს მწნების შეუგინებ-ლობა. ამასთან საჭიროა, რომ ყოველი მისი მოქმე-დება, ყოველივე მისი სიტყვა და საქმიელი აღვი-ლი იყოს ქრისტიანული სიყვარულით ღვთისა, ხამ-წყსოსა და საზოგადოდ ქრისტეს მიერ ყველა ძმა-თა ჩევნთადმი. ეს სიყვარული, ურომლისოთაც, მო-ციქულის სიტყვისაებრ, «კაცი არა რა არს», იმაში უნდა იხარებოდეს, რომ მწყემსი გულით თანაუგრ-ძნობდეს სამწყსოს მღვდლმარებისა და საქმეს, მზათ იყვეს გაიზიაროს მათი სიხარული და მწუხარება, უნდა თავის ღრაზე მიეშველოს სულიერ შვილთ.

სიტყვით, საქმით, შუამდგომლობით ანუ ნივთიერი დახმარებით. „ასეთები უნდა იქნენ, იტყვის წმ. გრიგორი თრმეტყველი, სულიერ შვილთა წინაშე მწყემსი, რომ მათ არ შეეშინდესთ და არ შერც-ხვეთ აღუარონ მწყემსთ თავიანთი ცოდვები რომ იგინი ყოველი განსაცდელის ღროს გაეშურნენ მწყემსთადმი, როგორც რაიმე ხიფათის ღროს შვილი მიაშურებს დედის კალთას“. ამ სახით მღვდლის და-მოკიდებულება სამწყსოსთან უნდა აღიბეჭდოს ისე-თივე წმიდა, ღიღი და ცხოველი სიყვარულით, როგო-რიც არის სიყვარული მართლ-მორწმუნე დედისა თავის შვილთადმი.

შეიძლება კაცი იქნეს კეთილ-მორწმუნე, უყ-ვარდეს მოყვასი და ეს სიყვარული საქმითაც დაამ-ტკიცოს, მაგრამ ამავე ღროს ეს კაცი თავისი შინა-განი სულიერი მისწრაფებით ძლიერ დაბალ ხარისხზე იდგეს. ხშირად მეტის-მეტი თავის მოყვარულობას და ამპარტავნებას შეუკლია დააბრმავოს სრულებით კე-თილ-მორწმუნე კაცი. ამაგებისაგან აფრთხილებს მწყემსთ წმ. მოციქული პავლე და ამცნებს მათ, რომ იგინი სახე ექმნენ სამწყსოთა სულით, ე. ი. თავისი სულიერი აზროვნებით. თვით ბუნებრივი და ჯერთვანი სულიერი მდგომარეობა მწყემსისა არის ღრმა სიმდაბლე, მწყემსი უნდა ცდილობდეს, რომ ყოველივე ქმნას სადიდებლად ღვთისა, ყოველი თა-ვის იმედი დააფუქნოს ღმერთსა და მის ყოვლად შემძლე ძალაზე—„სახე ექმნენ სულითა“ მოითხოვენ მწყემსთაგან, რათა მათ არ გაატარონ გულში ძვირი, არ იქმნენ გულ მანკიერნი, მოსპონ თავის გულში რისხვა და მტრობა, თავმდაბლად მოექცნენ თვით მტერსაც. მაგრამ უმთავრესად მღვდლისაგან ითხო-ვება, რომ იგი განსაკუთრებით კეთილ მოწინებით მოეკიდოს როგორც თავის ხარისხს, აგრეთვე ყო-ველივე საღმრთოს და პატივის ცემით უნდა უცქე-როდეს თავის სასულიერო წოდებას.

წმ. მოციქულის მწნებისაებრ, მწყემსი მაგალი-თი უნდა იყვეს „სარწმუნოებით და სიშმიდით. სახე ექმნე „სარწმუნოებით“ იმას ნიშნავს, რომ მღვდელ-მა მაგალითი უნდა უჩვენოს, თუ როგორ უნდა სწამდეს ქრისტიანე კაცს ღმერთი და მის მიერ მო-ციქულის სიტყვისაებრ, კაცი არა რა არს“, იმაში უნდა იხარებოდეს, რომ მწყემსი გულით თანაუგრ-ძნობდეს სამწყსოს მღვდლმარებისა და საქმეს, მზათ იყვეს გაიზიაროს მათი სიხარული და მწუხარება, უნდა თავის ღრაზე მიეშველოს სარწმუნოება საქმით. აქ საჭირო არ არის მოვიხსე-ნოთ, რომ მღვდელმა არა ვითარი ეპვი არ უნდა გაივლოს თავის გულში სარწმუნოების სხვა და სხვა

საგნების შესახებ: მას უნდა სწამდეს მტკიცედ და აღთქმაში, როცა ატარებდენ გულზე გრეხილით შეურყვლად და ეს მტკიცე სარწმუნოება უნდა გა- დაკიდებულ ბეჭედს, რომელზედაც გამოხატული მოიჩინოს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა იყო სახელი და ლირსება მტარებელისა. მტარებელს ჩვენი სარწმუნოება ვარდება რაიმე განსაცდელში. ეს ბეჭედი მუდაში თვალ წინ უდგენდა როგორც მის ხოლო ასეთი განსაცდელი მღვდლის ცხოვრებაში გინაობას ისე მის ლირსებას. მღვდლის ჯვარი, რომ- ხოლო ასეთი განსაცდელი მღვდლის ცხოვრებაში იშვიათი არ არის. მღვდელსაც ხშირად ეწევიან უბე- დურებანი, რომელიც მცირე მორწმუნე კაცებში აღძრავენ ხოლმე დრტვინვას და საჩივარს მათ ბე- დის წერაზე, საჩივრებს მათ მოვალეობათა სიძნელე- ზე. ასეთ კაცებს ერყევათ სარწმუნოება ღვთის ყოვ- ლად შემძლე გამგეობაზე, ისინი ხანდისხან ეპვე- ულობენ ღვთის მოწყალების შესახებ... ეკალესის მწყემსი ყოველივე ამას განშორებული უნდა იქმნეს: რაც უნდა გარემოებაში ჩავარდეს იგი, მაინც წმი- დად უნდა დაიკვას თავის გულში სარწმუნოება და, შეგასად მართალი იობისა, მტკიცედ უნდა სა- სოებდეს ღმერთზე, უნდა სწამდეს ღვთის აღთქმათა შეუცვლელობა. მაგრამ სიტყვები 『სახე ექმენ სარწ- მუნოებით』, კიდევ იმასაც ნიშნავს, რომ მუდამ სარწმუნოების მცველი უნდა იყოს მღვდელი, და- ფაროს იგი კეშარიტების მტერთაგან და შზად იქმნეს სარწმუნოებისათვის დასდევას სული თვესი.

უკანასკნელი მოთხოვნილება წმ. მოციქულისა, რათა მაგალითი ექმნეს „სიწმიდით“, იგივეა, რაც ითხოვება სიტყვებით: მაგალითი ექმენ 『ცხოვრებით』. სიტყვაში „სიწმიდით“ ერთი სულ სხვა მოთხოვნი- ლებაა კიდევ. სიტყვა სიწმიდე ბერძნულს ენაზე გა- მოხატულია სიტყვით, რომელიც საკუთრად ნიშნავს უბიწოებას, ნამდვილ სიწმიდეს გულისას. ამიტომ მოციქულის აზრი შეიძლება ასე გამოვხატოთ: მწყემ- სმა არა თუ უნდა დასთრგუნოს თავის გულში ვნე- ბანი, განსაკუთრებით ხორციელნი გულის თქმანი, არამედ გულშიაც არ გაიტაროს ცუდი და მეძავი აზრი.

აი, ასეთია, დაახლოვებით, აზრი სიტყვებისა, რომელიც აწერია მღვდლის მკერდის ჯვარზე. ეს სიტყვები სინამდვილით ხატვენ, თუ როგორი უნდა იქმნეს ეკალესის მწყემსთა ცხოვრება და მოღვა- წეობა. აქედან ცხადია ისიც, თუ სახელდობ ეს სიტ- ყვები რატომ არიან დაბეჭდილი მღვდლის ჯვარზე. ეს ჯვარი არის ნიშანი მღვდელობის ლირსებისა და მუდაში უნდა მოაგონებდეს მწყემსთ მათ წოდებას, მათ თავზე მიღებულ მოვალეობათა. მიზანი ამ ჯვრის ტარებისა იგივეა, რაც იყო ძველ დროში, ძველ

აღთქმაში, როცა ატარებდენ გულზე გრეხილით შეურყვლად და ეს მტკიცე სარწმუნოება უნდა გა- დაკიდებულ ბეჭედს, რომელზედაც გამოხატული იყო სახელი და ლირსება მტარებელისა. მტარებელს ეს ბეჭედი მუდაში თვალ წინ უდგენდა როგორც მის ვინაობას ისე მის ლირსებას. მღვდლის ჯვარი, რომ- ლის წინაპირზე გამოხატულია ქრისტე, და უკანა გვერდზე დაწერილია წმ. მოციქულის სიტყვები, აგრეთვე უნდა მოაგონებდეს მწყემსთ იმათ წოდებას და უმაღლეს ლირსებას. მწყემსი, რომელსაც მუდამ თვალ-წინ აქვს ჯვარი და მასზე დაწერილი სიტყვები, თავის ყოველი ფეხის ნაბიჯს უნდა დაუკვირდეს, შეამოწმოს, ეთანხმება იგი თუ არა იმ უმაღლეს მოთხოვნილებათ, რომელნიც აღნიშნული არიან წმ. პავლე მოციქულის ზემოთ მოხსენებულ სიტყვებში. თუ ეს დარიგებანი ნიადაგ სახეში აქვს მწყემს მაშინ თუ ეს დარიგებანი იგი ამ ჯვრის ტარებისა და ნამდვილი ნი- შანი იქნება ეს ჯვარი მისი მწყემსებრივი კეთილი ცხოვრებისა.

საზარელი და საშინელი შემთხვევა.

რუსულს გაზეთს „პალომნიკუში“ წერდენ, რომ სამხრეთ რუსეთში, ტირასპოლის მახლობლად, ხერ- სონის გუბერნიაში, მოხდა საზარელი შემთხვევა, რომელმაც მეტად შეაწუხა რუსეთის ხალხი და ეს ამბავი ელვასავით გავრცელდა სამზღვარ გარეთაც. ამ საზარელ ამბავს შეადგენს ხერსონის გუბერნიაში მცხოვრებ მწვალებელთაგან ცოცხლად თავის და- მარხვა. დღეს შეტყობილია ამ საზარელი შემთხვევის დაწვლილებითი ამბები. აი როგორ მომხდარა ეს ამბავი:

სამხრეთ გუბერნიებში: ბესარაბიაში, ხეხსონში და სხვაებში ძველი დროიდანვე სახლობენ მრავალი მწვალებელნი, რომელთაც სდევნიდენ მათ სამშობ- ლოში და აქ, რუმინიის და ავსტრიის მეზობლად უფრო მოსვენებით იყვნენ და შევიწროების და დევნის დროს თავისუფლად შეეძლოთ სამზღვარ გარეთ გასვლა და თავის შეფარება. აქ ეს მწვალე- ბელნი უმეტესად თავს ირჩენდენ მებაღეობით. ბენ- დერში, სლაბოდკაში, ტირასპოლში და სხვაგან მათ



გააკეთეს შვენიერი ბალები და საუცხოვოდ დაბინავდენ. მათ შრომას უხვად აჯილდოებდა იქაური მდიღრული ბუნება. ამავე დროს ეს მწვალებელნი არ ივიწყებდენ თავიანთი სულის საქმესაც. მრავალ ადგილს მათ გააკეთეს მონასტრები, რომელნიც გარეგნობით უბრალო ქოხებიდან არ განირჩეოდენ, მაგრამ შიგნით შვენიერი საცხოვრებელი და სამლოცველო ოთახები იყო მოწყობილი.

ერთ ამ ადგილებთაგან, სამი ვერსის მანძილზე, ხერსონის გუბერნიის ქალაქ ტირასპოლიდან, მდინარე ღნეპრის ერთ ციცაბო ნაპირზე მდგრადებს სოფელი ტერნოვკა, სადაც ცხოვრებენ მეტალებულები თავიანთ შვენიერ ვებროთელა ბალებში და ვენახებში, რომელთაგან ერთი დიდი ზვარი ეკუთვნის კოვალევის ოჯახს — თეოდორე კოვალევს. ამ თეოდორეს აშენებული აქვს მრავალი სხვა-დასხვა შენობები; ამ შენობებში ერთი შენობა შეტაღ გრძელი და დაბალია. მასში მრავალი საცხოვრებელი ოთახებია. ამავე შენობის უკან არის ამგვარივე შენობა, რომელშიაც იყო დედათა მონასტერი.

ამ მწვალებელთა შორის, დიდი ხანია, ხმა გავრცელდა, რომ პირველ იანვარს 1897 წელსა იქმნება დასასრული ქვეყნისათ, ამ დროს ერთი დიდი კულიანი ვარსკვლავი მოწყდება, დაეცემა ქვეყანას და ნაწილ-ნაწილ დაამტვრევს და დაიწყება საშინელი განსჯაო. სწორეთ ამ დროს რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა მოეხდინა ერთ დღიური საყოველთაო აღწერა.

კოვალევმა დაიწყო ბარით მიწის თხრა სარდაფში. მიწის თხრა რასაც მოასწავებდა, ეს ყველას შეტყობილი ჰქონდა. უდაბნოს წინამძღვარი ქალი ვიტალია და მოხუცებული დედა თელორე კოვალევისა ამხნევებდენ მეუდაბნოეთ და ყველანი ერთად ემზადებოდენ გახდებულად შეყრდენ სიკვდილს. ამასობაში სასაფლაოც მზად იყო. პირველად სამარეში შევიდა მწვალებელთა მღვდელი სანლით და ლოცვანით ხელში; მას უკან მიჰყა მეუდაბნოეთომა ცოლით და ქალიშვილით; შემდეგ ვიტალიას და დაბოლოს მოხუცებული ბერი, -სულ 9 თუ 10 კაცი. კოვალევმა მაშინვე დააყარა მათ მიწა. ეს იყო პირველი დასაფლავება. მხოლოდ ერთმა ღმერტომა უწყის, თუ რა წვალებას გამოივლიდენ სასაფლაოში ასე ცოცხლად დასაფლავებულნი!

ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ეჭვსმა კაცმა განაც-

ხადა სურვილი ცოცხლად დასაფლავებისა, ცოცხლევმა მათთვისაც მოამზადა ერთი საზოგადოებრივო და როცა ეს ეჭვსი კაცი ჩავიდა ორმოში, კოვალევმა მიაყარა მათ მიწა. ეს მეორე დასაფლავება.

გავიდა რამდენიმე ხანი და ოთხმა მეუდაბნოება ქალმა მოისურვა ცოცხლად დასაფლავება. ყველანი ერთი მეორის გვერდით დაწვენ და კოვალევმა დააყარა მათ მიწა.

მესამე დასაფლავებას თან მოყვა მეოთხე. მეოთხე დასაფლავების დროს მონაწილეობა მიიღო ეჭვსმა კაცმა და მათ შორის ამ შემთხვევის უმთავრესმა მოთავემ ვიტალიამ, თეოდორე კოვალევის მოხუცებულმა დედამ, მისმა შვილმა და კიდევ სამმა ქალმა. ამ შემთხვევამ ისე ააღელვა სხვა მწვალებლებიც, რომ მათ გადაწყვიტეს თავი მიანებონ ქვეყნიურ საქმეებს და შეუდგნენ სულის საქმეს. ამ დროს მათთან მივიღა მწვალებელი ქალი ვიტალია (ვერა მოკეევა ხერსონიდან) ქალი, რომელიც შესანიშნავი იყო თავის ნიჭით; ამ ქალმა დაუწყო რწმუნება ყველა მწვალებელთ, რომ თუ გვინდა უბედურებას ავსცდეთ, ცოცხლად უნდა დავიმარხოთ თავიო. მრავალი მწვალებელნი დაეთანხმენ მას ამაზე: ჩაიკეტეს თავიანთი ოთახები, იწყეს მომეტებული ლოცვა, იწყეს სასტიკი მარხულობა, თითქმის, სრულებით ალარ იკარებდენ საჭმელს. ყოველივე ეს ხდებოდა იმავე კოვალევის მამულში, მის უდაბნოში. ამ დამარხების საქმეც კოვალევმა მიიღო თავის თავზე და მართლაც დაასაფლავა მსურველნი. ამის შემდეგ ვიტალია და კოვალევი-ლა დარჩენენ უდაბნოში. როცა იანვარში მათ მიადგათ გადამწერი და მოთხოვა საჭირო ცნობები, ისინი ჩაიკეტენ ოთახში და შხოლოდ სანათურიდან მიაწოდეს წერილი, რომელშიაც აცხადებდენ, რომ ისინი არავითარ ცნობას არ მისცემენ მას და არცა სურთ, რომ მათი სახელი იქნეს ჩაწერილი: «ჩვენ ყველასათვის მხოლოდ ქრისტე სახელი, მამული და პატივი». აი ნამდვილი შინაარსი ამ წერილისა:

«გ. ი. კ. ხ. ბ. პ. ჩ. ჩვენ ვართ ქრისტიანები, ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ რაიმე ახალი საქმე, ჩვენ არა გვსურს ახალი წესით დავიწეროთ ჩვენი სახელი და მამის სახელები. ჩვენ ყველასათვის ქრისტე არის სახელი, სამშობლო და პატივი. ხოლო თქვენი ახალი წესებიც და მეტრიკა აშორებენ ქრისტეს და ჭეშმარიტ ქრისტეს სარწმუნოებას და უარ-

სა ჰყოფენ სამშობლოს, ხოლო ჩვენი სამშობლო არის ქრისტე. ჩვენ უფალი გვეუბნება თავის წმიდა სახარებაში: «რევა უფალმა თვისითა მოწაფეთა: ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩეცათასა. უარდა რომელმან უარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უარვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩეცათასა» (მათ. 10, 32, 33). ამისათვის ჩვენც მოგიგებთ მოკლედ და დაბოლოებით, რომ ჩვენ არ გვინდა მოვშორდეთ ჭეშმარიტ უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს და არც გვინდა უარ-ვყოთ მართლ-მადიდებელი სარწმუნოება და წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია და რაც წმიდა მამებმა წმიდა კრებებზე მიიღეს, იმას ჩვენც ვლებულობთ, ხოლო რაც წმიდა მამებმა და წმიდა მოციქულებმა შეაჩენეს და უარ-ჰყვეს, მას ჩვენც ვწყველით და უარსა-ვყოფთ. თქვენ ახალს კანონებს ჩვენ არადეს არ დავემორჩილებით, მაგრამ გვესურს კი, რომ ქრისტესათვის დავიხოცოთ თავი”.

ამ წერილის გამო თვითონ მთავრობა ჩაერთა საქმეში, და მაშინ მთლიად გამოაშეკრავდა ეს დაფარული ისტორია. ეხლა ნამდვილად შეტყობილია, რომ კოვალეს ცოცხლად დაუმარხეს 25 კაცი. ბევრი კაცი აკლია სოფელში, და ფიქრობენ, რომ ისინიც ალბად ცოცხლად დამარხულნი არიან. ერთი ვიღაცა სოლოვიევი, ტირასპოლელი მცხოვრები, რომელმაც ქალი მიათხოვა თეოდორე კოვალევს, როცა თავის ქალი ვეღარ ნახა, მოსთხოვა ქარს, დაუყონებლივ ეჩვენებინა მისთვის, თუ სად არის მისი ქალი შეიძლებითურთ. სხვა მრავალიც მიადგნენ კოვალეს და მის უდაბნოს სხვა-და-სხვა მოთხოვნილებით. მთავრობა დიდის ბეჯილობით შეუდგა ამ საქმის გამორკვევას: კოვალევი და მისი თანაბრძოს რენი დატყვევეს. შემდეგ მთავრობამ შენიშნა სასაფლაოები უდაბნოში და მაშინვე ამოთხარეს ისინი; როცა სასაფლაოები ამოთხარეს, თვალ წინ საზარელი სანახაობა წარმოუდგათ იქ დამსწრე პირთ. მიცვლებულთა მდებარეობა ამტკიცებდა, რომ მათ საშინელი წვალება ჰქონდათ გავლილი და დიდან-საც ეწვალებიათ. ცოცხალი მეუდაბნოები ვერ ნახეს: ისინი გაიქცენ უდაბნოებიდნ და ეხლა ჟველა უდაბნოები და ბალ-ვენახები უბატრონოთ არიან მიტოვებულნი. დაიმდებულნი არიან, რომ მთავრობა კიდევ ბევრ ამეცებს ამოაჩენს ამ საზარელი საქმის შესახებ. („Пастыр. сөнбек.“)

მთავარ-ეპისკოპოსი უსამღვდელოესი უილიამის
მთავარ-ეპისკოპოსი ანტონი ლოდოლის

მთავარ-ეპისკოპოსი ფილიანდისა, წევრი უწმიდესი სინოდისა ანტონი 2.ს ამ ივნისს გაემგზავრა ლონდონში. მასთან ერთად წაბრძანდა ლონდონში უწმიდესი სინოდის ობერ-ზოგურორის ამხანავა, ტაინის სოფეტნიკი ვ. კ. საბლერი. მიზანი ამა მოვზაურობისა ის არის, რომ ჩვენი მართლ-მადიდებელი ეკკლესიის წარმომადგენელი დასწრებულიურ ინგლისის დედოფლის ვიგტორიას სამოცი წლის თუბილების დღესასწაულზე. მოგეხსენებათ, რომ ინგლისი საგანგებოთ მოემზადა თავის დედოფლის 60 წლის დღესასწაულობას. როცა მთავარ-ეპისკოპოსი ანტონი მიბრძანდა ლონდონში, მას რეინის გზის სადგურზე მიეგება ლონდონის სასულიერო წოდების და ხალხის მ-ერ ამორჩეული დებუტაცია, ამ დებუტაციაში იულ ლონდონის არქიდიაკონი და ნიუგასტელის გერცოგი. როდესაც მთავარ-ეპისკოპოსი ანტონი გამობრძანდა ვაკონიდან, მეაღთბელთა გუნდმა იგალობა მისაგებებელი საგალობელი. ამ გაღთბის დროს იქ დამსწრე პირებმა დაიხსეს და ისე მიღებს მღვდელ მთავრის კურთხევა, შემდეგ მდგდელთ-მთავარის მიართვეს მისაღლოცავი აღრესი, როგორც ერთი უმღლიერესის თემის ეკკლესიის წარმომადგენელს პირს. მთავარ-ეპისკოპოსი ანტონი დაბინავდა კენტერბერიის მთავარ-ეპისკოპოსის სასახლეში.

მთავარ-ეპისკოპოსი ანტონი მიბრძანდა ლონდონში. აქ მათ მეუფებას ანტონის მიეგება ლონდონის ეპისკოპოსის ეპისკოპოსის რი-

დინგი სხვა მრავალ სასულიერო წოდების შემთხვევაში თანადასწრებით. მგალობელთა გუნდმა ბერძნულ ენაზე იგალობა «მრავალ ქამიერი». შემდეგ წაიკითხეს მისართმევი აღრესი. მისართმევ აღრესმი, რომელიც ლათინურად იყო დაწერილი, აღნამნული იყო თანაგრძნობა შეერთებისა აღმოსავლეთის უკკლესიასთან, რომელსაც უკველა გრძნობს ინგლისში და ის სასიამოვნო გრძნობა, რომელიც დაბადა ინგლისელებში იორქის მთავარ-ეპისკოპოსის პატივით მიღებამ რუსეთში, ამაებს გარდა აღრესმი გამოთქმული იყო სურვილი გებლებითა ერთად შეერთებისა. ღმერთმან ინებოს, მალე მოახლოვდეს ის დრო, როცა უკველანი შეადგენენ ერთ სამწესოს ერთი „მწევემსთავრით“.

ინგლისელებმა ჩვენსავით კი არ იციან დღესასწაულობა. ჩვენში შეიკიბებიან, კარგად მიიღოთმევენ სადილს და გახმამს, ბანქოს თამაში წაგებენ, ან მოიგებენ და დგინოსაც კარგად გიასლებიან. ბოლოს ქებას დაუწეუბენ ვინც ბევრი დფინო დალა. საქველ-მოქმედო საქმე კი სრულებით დავიწეუბულია.

დედოფლის 60 წლის იუბილეის ინგლისელები დღესასწაულობენ არა მარტო ბანქეტებით, სადილებით და ვახშებით. არა მედ ამ იუბილეის გამო აარსებენ საავადმეოფობეს, თავშესაფარებს, სამკითხველოებს და სხვა და სხვა. ორმოც და ათ პროგინციის ქალაქში დაარსდა ლარიბათვის უფასო საავადმეოფოები. 18 ქალაქმა საზოგადო სამკითხველო დაარსა, 34 ქალაქმა ახალი გიმნაზია დააფუძნა, თვით ლონდონში სამი ახალი საავადმეოფო დაარსეს ამ იუბილეის გამო, თითქმის

ისეთი ქალაქი აღარ დარჩია, რომ რამდენიმე ახალი სასარგებლო დაწესებულება მარტივობა ბევრისან ამ იუბილეის გამო ქუჩები გაანათეს, ახალი ბაღები გაჭმართეს და სხვანი.

არც ახალშენები ჩამორჩინებ ინგლისს. 300 სხვა და სხვა ქალაქმა იუბილეი გადაიხადეს საქველ-მოქმედო შეწირულებით: დაარსეს საავადმეოფოები, სასწავლებლები და მრავალი სხვა.

შენზის გუბერნატორი ფანჩულიძე:

ჩვენი ქვეყნიდან ბევრი არიან გადასულნი რუსეთში; ამ გადასახლებულთ სრულებით დავიწყებით თავიანთი ჩამომავლობა და გვარის მიშვნელობა. ხშირად შეხვდებით გაზეთებში გრაფ კუტისოვის ამბებს და თავგადასავალს. გრაფი ქუტისოვი ყოფილა ქუთათერი დალაქი, რომელიც რალაცა შემთხვევით ბოლოს იმპერატორის პავლეს პირის მშანელად და მოსახურედ ყოფილა. ამ კუტისოვს იმდენად ღაუმსახურებია ყურადღება იმპერატორისა, რომ ბოლოს გრაფობა მიუღია და მისი ნამდვილი გვარის მაგიერ ქუტისოვი უწოდებიათ. ამავე სახით რალაცა შემთხვევით ერთი ჩხარელი გლეხის ფანჩულიძის შვილი ყოფილა წაყანილი რუსეთში. ამ ფანჩულიძის შვილს უსწავლია და ბოლოს ქვამდისინ მისულა, რომ პენზის გუბერნატორათ დაუნიშნავსთ, და ტაინი სოვეტნიკობაც მიუციათ. რადგან რუსების ყველა გვარები, თითქმის ევ—ით და ოვ—ით ბოლოვდებიან, ამ ფანჩულიძესაც თავისი გვარისათვის მიუმატებია ევ—ი, თორემ ნამდვილი მისი გვარი არის ფანჩულიძე. ზოგიერთ წერეთლებს რუსეთში თავისი გვარი გამოუცვლიათ და წერეთლის მაგიერ წერტელოვად იწოდებიან. დღევანდელი გენერალ გუბერნატორი ვარშავისა თავადი იმერეთინსკი გვარად ბაგრატიონია. ეს იმ კონსტანტინე ბაგრატიონის შვილი შვილია, რომელიც სოლომონ მეორე იმერეთის მეფის დროს მუხურის ციხიდან იყო გან-

თავისუფლებული რუსეთის დამხარებით და შემდეგ იგი წაიყვანეს. გამოსაზრდელად პეტერბურგში.

პეტიონის გუბერნატორ ფანჩულიძეზე ერთ უზრნალის «რუსის არხივში» ვკითხულობთ შემდეგ საუკრადლებო ამბავს.

„თითქმის 20 წელიწადი გამოუცვლელად განაგებდა პეტიონის გუბერნიას გუბერნატორი, ტაინი სოვეტინიკი პანჩულიძე. ვგონებ იმის გამო, რომ მას მოწყინდა ამდენი ხნის განმავლობაში თავისი გვარის მოწერა, იგი მარტო თავისი გვარის დასაწყის ასოს „პ“ აწერდა და მერე ხაზი იყო გასმული, რომელიც სრულებით არ ნიშნავდა «ანჩულიძეს». მინისტრს პეტოვსკის არ უყვარდა ფანჩულიძე, და როცა ერთხელ ამ გუბერნატორმა წლიური ანგარიში გაგზავნა მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის სახელობაზე მისდამი რწმუნებული გუბერნიის მდგომარეობის შესახებ, მინისტრმა მიართვა რა ეს ანგარიში იმპერატორს, მათი უდიდებულესობის ყურადღება მიაქცია გუბერნატორის ხელ მონაწერზე. „კარგი, ბრძანა ხელმწიფებრივ, დამიტოვე მე ეს მოხსენება“. პეტოვსკი ჯერ კიდევ სახლში არ იქნებოდა მისული, რომ შიკრიკი გარბოდა პეტიაში. „მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის პირდაპირი ბრძანებით, ინებეთ, თქვენო აღმატებულებავ, პეტერბურგში წაბრძანება“, დასძახა შიკრიკმა. შეშინებულმა გუბერნატორმა ხან თარასი, ხან სამასი და ხან ხუთასი მანეთი აძლია შიკრიკის, რომ მხოლოდ ეთქვა, თუ რისათვის იბარებენ მას; მაგრამ შიკრიკი უმტკიცებდა, რომ არაფერი ვიციო. ერთი საათის შემდეგ პეტერბურგისაკენ მიაჭირებდა ცხენს შიკრიკი და მის უკან გუბერნატორი. ძლიერ საძნელო იყო მგზავრობა: იმ დროს არც გზა ტკეცილი და არც რკინის გზა არ ყოფილა.

პეტერბურგში მისვლისათანავე ფანჩულიძე წავიდა გრაფ პეტოვსკისთან, რომ გამოცხადებოდა და მასთან ეყითხა, თუ რისთვის იბარებენ მას. მინისტრიც მხოლოდ მაშინ მიხვდა, რაშიაც იყო საქმე, მაგრამ ფანჩულიძეს კი უთხრა, რომ არაფერი ვიციო. შემდეგ ფანჩულიძემ მიაშერა სასახლის მინისტრს გრ. აღლებერგს, მაგრამ მანაც არაფერი იცოდა შიკრიკის გაგზავნის შესახებ. და ამიტომ ვერაფერი ვერ უთხრა.

ხელმწიფებრივ მხიარულად მიიღო გუბერნატორი ფანჩულიძე. იგი სიხარულით ცას უწვდებოდა. ნი-

კოლოზ პავლეს ძემ ალექსიანად და დაწვლილებით გამოკითხა მას მისდამი რწმუნებული გუბერნიის მდგომარეობა, მაგრამ უეცრად წარმოსთქვა იმშერატორმა: «მართლა, მითხარი გეთაყვა, ეს შენი ხელმოწერილია?» აქვე ხელმწიფებრივი მიაწოდა ფანჩულიძეს ის უბედური წლიური ანგარიში, რომელზედაც ეწერა „პ“ და შემდეგ გასმული იყო ხაზი „ჩემია“, მიუგო გუბერნატორმა, მაგრამ ძლივ ძლივობით კი წარმოსთქვა ეს სიტყვები. «მაშ კარგი, ბრძანა იმპერატორმა ნიკოლოზ პავლეს ძემ,-ახლა იცი, მე მეცოდინება, რომ შენი ხელ-მოწერილია, თორებ ვფიქრობი, რომ ხელ-მოწერილი ყალბი იყო. ეხლა შეგიძლიათ წახვიდეთ პეტიაში“.

ფანჩულიძე ხელ-ახლად წავიდა გრ. აღლებერგთან, რომ ეკითხა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო იგი, და მასთან უამბო თავისი ხლება ხელმწიფესთან. «იცით რა, ცოტა მოფიქრების შემდეგ, მიუგო სასახლის მინისტრმა, გამოეთხოვთ პეტოვსკის და უბრძანეთ, რომ ცხენები მოგართვან». ეს რჩევა შეასრულა ფანჩულიძემ. იგი დარჩა პეტერბურგში, როგორც თვითონ იტყოდა ხლომე შემდეგში, დილის რვა საათიდან საღამოს ხუთ საათამდე.

ამავე ფანჩულიძის შესახებ ლაპარაკობენ მეორე შემთხვევას, რომელიც აგრეთვე არაცასა ჰგავს. როცა ამ გუბერნატორს ქალალდებს მიართმევდენ ხელ მოსაწერად, იგი თვითონ ქალალდებს არ კითხულობდა, მხოლოდ ხელს აწერდა. ამით ისარგებლა ვილაცა ხუმარამ და მიუტანა მას ხელ-მოსაწერად უქვეშევრდომილები თხოვნა სამსახურიდან თავის დათხოვნის შესახებ. ფანჩულიძემ ქალალდს ხელი მოაწერა. მაგრამ წარმოიღებინეთ მისი განციფრება, როცა მან პეტერბურგიდან სამსახურიდან დათხოვნის ქალალდი მიიღო. ასე სამწუხაროდ და სასაცილოდ დასრულა თავისი დიდი ხნის სამსახური პეტიას სახელმწიფო კაციშა.

ჭეპირ სიტყვაობის ფონდის საქმე.

უზრნალ „კვალის“ მეოხებით, 1895 წელს, აკაკი წერეთელმა დაიწყო ფულის მოგროვება ზეპირ სიტყვაობის საერთო ფონდის დასაარსებლად. საზოგადოება დიდი თანაგრძნობით მიეგება ამ საქ-

მეს და მაშინვე კამიტეტიც შედგა შემდეგი პირებისაგან: თვითონ აკაკი წერეთელი, დეკ. დ. ლამბაშიძე, გ. წერეთელი, ა. გარსევანიშვილი და ექიმი ივ. ელიაშვილი. შეკრებილი ფული, ას თუმნამდის, ინახებოდა სარგებლის ბანკში. ახლა ზემოხსენებულმა ზეპირ-სიტყვაობის გამგე კამიტეტმა დაადგინა შემდეგი:

ზეპირ-სიტყვაობის ფონდის კამიტეტის დადგინება.

„1897 წ. ივნისის 15-ს დღესა, ჩვენ ქვემოთ ამის ხელის მომწერელთა, კამიტეტის წევრთა, მოვისმინეთ განცხადება თ. აკაკი წერეთლისა, შემდეგი შანაარსისა: „კამიტეტის წევრებმა იცით კარგათ, რომ 1895 წელს გამოვაცხადე მე, რომ შეკრებილიყო, ზეპირ სიტყვაობის საბეჭდავათ შემოწირულებანი, კეთილ-მნებელ პირთაგან და ეს განცხადება დიდის თანაგრძნობით იყო მიღებული საზოგადოებისაგან. არ გაუვლია დიდხანს, რომ ფულების გზავნა დაიწყეს ჩემ სახელზე, იმ მიზნით, რომ ეს ფულები მიმელო და მომტხმარა გამოცხადებულ საგნის სასარგებლოთ, ჩემი შეხედულებისამებრ. ვინაიდან იმ დროს მე საკუთარი რედაქტია არა მქონდა, ამისათვის, იძულებული ვიყავი შემწირველებისათვის მიმეთიებია «კვალის» რედაქტიისადმი. დღემდის ამ გვარი შეწირულება მიღიოდა „კვალის“ რედაქტიის და, რასაკვირველია, ამ რედაქტიის აქვს შენახული.— დღეს, რადგანაც მე ჩემი გულის სანატრელი ამისრულდა და საკუთარი რედაქტია მაქს, შურნალის „კრებულისა“, რომელშიაც განსაკუთრებული განყოფილებაა ზეპირ-სიტყვაობის საბეჭდავათ, მთავრობისაგან ნება-დართული, ამისათვის ვითხოვ, რომ შეკრებილი, ამ საგნისთვის, „კვალის“ რედაქტიიდან გადაეცეს „კრებულის“ რედაქტიის.

თანახმად ამ განცხადებისა, ჩვენ კამიტეტის წევრთა დავადგინეთ შემდეგი: შეგროვილი ფულები ზეპირსიტყვაობისა, «რამდენიც არის», გადაეცეს «კრებულის» რედაქტიის „კვალის“ რედაქტიისაგან. ამასთანავე რაოდენობა ამ საგნისათვის შეგროვილი ფულისა, შემოწირველთა სიითურთ და აგრეთვე დანახარჯი ფულისა, აღნიშვნით დაიბეჭდოს, როგორც «კრებულის» პირველ შურნალის №-ში, აგრეთვე სხვა ადგილობრივ გაზეთებშიაც.

თავჯდომარე კამიტეტისა დეკ. დ. ლამბაშიძე.

წევრნი კამიტეტის. { ალ. ალ. გარსევანიშვილი.

თ. აკაკი წერეთელი.

ივანე სპ. ელიაშვილის

წერილობით მინდობილობით ხელს ვაწერ

დეკ. დ. ლამბაშიძე.

ამ დადგინების ძალით «კვალის» რედაქტორმა ცნა თავის თავი მოვალეთ გადაეცა ერთ ერთ კამიტეტის წევრისთვის, სახელდობ ალ. გარსევანიშვილისთვის, როგორათაც ანგარიში ყოველი შემოწირული ფულებისა, ისეც ფულის სარგებლისა, მოხდენილი ხარჯის გამორიცხვით. ვაუშებ რა ქვემო მოყვანილ ანგარიშს საზოგადოებს, დღეის იქით ვთვლი ჩემ თავს გათავისუფლებულს ყოველ პასუხის-გებიდნ, შესახებ ზეპირ-სიტყვაობის საერო ფონდისთვის შეკრებილ ფულისაგან. ეჭვი არ არის, რომ თითონ ბ. აკაკი წერეთელი, კამიტეტზე უფრო კარგათ გაუძლებება ამ სამძიმო საქმეს და ნამდინდ გზას მისცემს იმ გროვებს, რომლებსაც ისე გულ უხვათ იმეტებდენ შემომწირველნი.

„კვალის“ რედაქტიიაში შემოვიდა 1895 წლიდან შემოწირულება 1081 მ. 50 კ.

სარგებელი . . . 55—
ჯამი . . . 1136 მ. 50

ამ ფულიდან დაიხარჯა სხვა-და-სხვა ზეპირ-გადმოცემების დოკუმენტების შესაძენათ, «სოლომონ შეფის» ხელ-ნაწერის შესაძენათ და დასაბეჭდათ, აგრეთვე სხვა წვრილმანი ხარჯი—სულ 187 მან. 83 კპ. ამ ხარჯის გამოკლებით ფული 948 მ. და 67 კ. სრულიად გადავეცი კამისის წევრს ალ. გარსევანიშვილს თ. აკაკი წერეთლის გადასაცემათ.

„კვალის“ რედაქტორი ან. წერეთლისა.

ვბეჭდავთ რა ჩენის გამოცემაში ამ ზეპირ სიტყვაობის ფონდის ფულების ანგარიშს, ვაცხადებთ რომ ამის შემდეგ ხსენებული კამიტეტი აღარ არსებობს. ლეკ დ. ლამბაშიძე.

შურნალ-გაზეთთაგან.

ჩვენი გამოცემის მე-№ №-9-10.ში ჩვენ, სხვათა შორის, ვწერდით, რომ ქ. ქუთაისის არც ერთ ტაძარში არ დაიარება იმდენი მლოცველი, რამდენიც დაიარება მთავარ-ანგელოსთა ტაძარში-თქო. ამის მიზანად კარ გაწეუბილ წირვა-ლოცვას გარდა ჩვენ დაგასახელეთ ის გარემოებაც, რომ მხოლოდ ამ ეკულესიაში

სოულდება მწუხრის მწუხრის ღროს და ცისკარი ცისკრის ღროს. ღილის აღითნებე, დაირევება ოუ არა ზაონა, ტაძარი მთლად მდოცველებით ივსება. სხვა ქადაგების კარები კი ამ ღროს დაკეტილია. უკელა მდოცველეს ღრო არა აქვს დაწეროს სადამოს ლოცვას და ასეთ შირს რატომ არ უნდა მივჩევთ შემლება, რომ მან ღილით მოისმინოს ცისკარი. წირვა არ შეიძლება ერთ ტრანზე თრჯელ ერთსა და იმავე ღროს, თორემ ცისკრის შესრულება, ჩვენი აზრით, მიუკილებლად საჭიროა დოლარით იმ ტაძარში, რადაც თრია-სამი მდგრელია, განა არ შეიძლება ერთმა მდგრელმა ღამის თევით ცისკარი შეასრულოს და მეორემ ღილის ცისკარი? თუ მთავარ-ანგელოზის ქადაგისა სავსეა მდოცველებით ცისკარ-ზე, რა დაუძლის კათედრის ტაძარში მდოცველების მისვლას?

დღეს ამავე აზრის ღასასაბუთებლად მთვარებულება ტვერის ეპისკოპოსის ღიმიტრის შემდეგი განკარგულება და დადგენილობა ამავე ეპიპიტის სასულიერო კონსისტორიისა:

ტვერის სასულიერო კონსისტორიამ მოისმინა წინადადება მისი ყოვლად უსამღვდელოებისა, ყოვლად სამღვდელო ღიმიტრისა, ტვერის და კაშინსკის ეპისკოპოსისა, 4 მარტიდან ამა წლისა, № 1617, შემდეგი შინაარსისა: არა ერთხელ მოუწევია ეპარქიის მთავრობისადმი საჩივრებს, რომ კვირა-უქმ დღებში ქალაქის, და ხან სოფლის ეკლესიებშიაც დილით არ სრულდება ცისკარი. მღვდლები, განსაკუთრებით ახალ-გაზდები, უმთავრესად საღამობით ასრულებენ მწუხრს ცისკრითურთ, ხოლო შემდეგ, თვით კვირა-უქმ დღეს, წირვას უცისკროთ, და ამ სახით დაბალი კლასი ხალხისა, მუშები, ხელოსნები და სხვანი, რომელიც იძულებული არიან

რვა საათამდე, და აგრეთვე ვაჭრები საჭამილით ვერ ესწრებიან მწუხრსა და ცისკარზე უცისკრითურის ტიბიკონისა შებრ დაწესებულია კვირა-უქმ დღეებში დილით ცისკრის შესრულება. წინა-აღმდეგ ამ საზოგადო დადგენილობისა, ნება ჰქონდათ შეესრულებიათ მწუხრის ლოცვა ცისკრითურთ სასახლის და სამადლო სახლების ეპკლესიებში და სხვათა, და აგრეთვე საკრებულო ტაძრებში, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ საკრებულო ტაძრებში დილითაც შეესრულებიათ ცისკარი. დილითამით ცისკრის შეუსრულებლობა შემოიღეს აგრეთვე ზოგ მონასტრებშიაც, სადაც საღამობით სრულდება მწუხრის ლოცვა ცისკრითურთ, ხოლო დილით სრულდება ადრიანათ წირვა და ხან ერთი კი არა, რამდენიმე ერთი მეორის შემდეგ და ისეთი სიჩქარით, რომ ზოგიერთ მონასტრებში, თითქო, არც კი კითხულობენ უამნს წირვის წინათ.

ამის გამო კანსისტორიამ მისწეროს მონასტრების, ქალაქის საკრებულო და სამრევლო ტაძრების წინამდლვართ, საღაც ორი-სამი კრებულია, უსათუოდ (კვირა უქმ-დღეებში) დილით შეასრულონ ცისკარი, ეკკლესიის ტიბიკონით დანიშნულ დროს. მწუხრის ლოცვა ცისკრითურთ შეიძლება შესრულონ საღამო-ბით სამრევლო ეპკლესიებშიაც, მაგრამ იმ პირობით, რომ დილითაც იქმნეს შესრულებული ცისკარი. ხოლო ცისკრის შემდეგ, თუ გაშინვე სრულდება ლიტურგია, უამნი უსათუოდ ხმა მაღლა უნდა იქმნეს წაკითხული.

მ. მ. ბლალოჩინები მონასტრებისა, ქალაქის და სამრევლო ეპკლესიებისა ვალდებული არიან დიდი ყურადღებით ადვენონ თვალი, რომ საეკკლესიო ტიბიკონი საღამოის ლოცვის ცისკრითურთ და ცალკე ცისკრის და შემდეგ წირვის შესრულების შესახებ (კვირა-უქმ დღეებში) დაცულ იქმნეს და ამ წესის დამარღვეველთ შესახებ დაუყონებლივ მოახსენონ ეპარქიის მთავრობას. კანსისტორია ადგენს: ეს წინადადება ყოვლად სამღვდელოსი გაიგზავნოს ეპარქიის უწყებათა რედაქციაში დასაბეჭდათ და სამღვდელოების საყურადღებოდ“.

ეროვნის მართველობის უმაღლების შესახებ
ჩვენი.

დღი ჩანია, რაც აღმრულია ჩვენში ერობის შემთხვების შესახებ კითხვა, ძაგლამ ამ საუზნებელ საზოგადოების და არც მთავრობის მხრით არ იყო მაგდენად ურადღება მიქცეული. დღეს, როგორც გაზეთებიდან გულილობთ, საზოგადოების თსოვნას მართებლობამაც უშროდდება მიაქცია.

«მთავარ მართებელს თავად გოლიცინს ტფილისის გუბერნატორისათვის გაუგზავნია პირი იმ მოწერილობისა, რომელიც მას შინაგან საქმეთა მინისტრისაგან მიულია სტავროპოლის გუბერნიაში ერობის დაწესებულების შემოლების შესახებ. შემოლების ეჭვი არ არის, იმ აზრით, რომ საგუბერნიო მართველობამა და საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს. აი, რასა სწერს შინაგან საქმეთა მინისტრი:

ევროპის რუსეთის 34 გუბერნიაში ერობის დაწესებულებათა დებულების შემოლების დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს მინდობილი ჰქონდა, რომ იგი სცდილიყო და ხსენებული დებულება იმპერიის დანარჩენს გუბერნიებშიაც შემოეღო. მაგრამ ეს განზრახვა შესრულებულ ვერ იქმნა ზოგიერთ გუბერნიის შესახებ იმიტომ, რომ იმ დროის საპოლიტიკო გარემოებანი ნებას არ იძლეოდა, ხოლო სხვა გუბერნიებს თავისი განსაკუთრებული ადგილობრივი დამაბრკოლებელი მიზეზები ჰქონდა. დღეს-კი რაიმე ცვლილების შეტანა იმ გუბერნიებში, სადაც ერობის დებულება შემოლებული არ არის, აუცილებელს საჭიროებას შეადგენს, რადგანაც ადგილობრივ მომქმედნი სამეცნიერო ორგანონი, რომელიც ამ საუკუნის ნახევარში იქმნა დაწესებული და მას შემდეგ დღემდის არაფრით არ შეცვლილან, მეტად დაველებულა და არამც-თუ მთავრობისა და ადგილობრივ მცხოვრებთა მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, არამედ ახლად გამოკემულ კანონების მიერ აღნიშნულს საგნებასაც ვეღარ ემსახურება რიგიანად.

«იმ გუბერნიების მმართვა-გამგეობის წესა და რიგს, რომელთაც ჯერ ეს ცვლილება არ შექვებიათ და სადაც ჯერ ერობის დებულება არ არის შემოლებული, არა ერთხელ მიუქცევიათ უმაღლესის

მთავრობის ყურადღება; ამისათვის სახელმწიფო საბჭომ, სახელმწიფო ეკონომიის დეპარტმენტთან ეჭა თად საჭიროდ სცნო მიანდოს შინაგან—საქმეთა მინისტრს, რომ 1896—1898 წ. საერობო ხარჯთ-აღრიცხვის ვადის გასვლამდე, ვისთანაც ჯერ არს, მოლაპარაკება და მიწერ-მოწერა გამართოს და სახელმწიფო საბჭოს თავისი მოსაზრებანი წარუდგინოს იმ დაწესებულებათა შორის ცვლილებათა შეტანის შესახებ, რომლებიც დღეს საგუბერნიო საერობო გარდასახადთა საქმეს განაგებენ და სადაც ჯერ საერობო დაწესებულებანი არ არიან შემოღებულნი, და აგრეთვე — მოსაზრებანი იმ საშუალებათა შესახებ, რომელსაც გუბერნიებში სასოფლო მეურნეობის რიგინსა და სწორე ნიადაგზედ დაყენების საქმეს შეუძლიან ხელი შეუწყოს. ამისათვის, ჰელინებს რა შინაგან საქმეთა მინისტრი, რომ სტავრობოლის გუბერნიაში 1890 წლის ერობათა დაწესებულების დებულების შემოღება დროითია და შეიძლება ეს საგანი გარჩეულ იქმნას, მიშმართავს იგი კავკასიის უმაღლესს მთავრობას, აცნობოს თავისი აზრი როგორც უმაღლესმა ადგილობრივმა ადმინისტრაციაში, ისე საგუბერნიო მმართველობამ,— შეიძლება, თუ არა სტავრობოლის გუბერნიაში ხსენებული კანონი იქმნას შემოღებული, ან თუ შესაძლებელია, როგორ უნდა იქმნას იგი შემოღებული— საკეთი თუ, ადგილობრივ პირობათა და გარემოებათა მიხედვით, რაიმე ცვლილებანი დასჭირდება. ამავე საგნის შესახებ სენატორმა გორემიკინმა შემდეგი ცნობები მოითხოვა: ა) რამდენი მცხოვრებია მთელს გუბერნიაში და ადგილ-მდებარეობითა და სარწმუნოებით როგორ განიყოფებიან; ბ) როგორ არის მაშულ-დებული კერძო მემამულეთა და სოფლის საზოგადოებათა შორის განაწილებული, ან რამდენი დღიური მიწა უნდა ჰქონდეს მცხოვრებს, რომ საარჩევანო კრებებზედ მონაწილეობის მიღების უფლება მიიღოს; გ) რამდენად დიდია რიცხვი იმ კაცთა და დაწესებულებათა, რომელთაც საერობო საარჩევანო კრებებზედ მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ, რამდენია ისეთი თავად-აზნაური, რომელთაც პირველს კრებაზედ მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ და რამდენია ისეთი, რომელთაც მეორე კრებაზედ შეუძლიანთ მონაწილეობის მიღება; დ) რამდენად დიდია რიცხვი იმ სოფლის საზოგადოებათა, რომელთაც საერობო დაწესებულებათა დებულების მე-51 მუხლის ძალით,

უფლება ეძლევათ სოფლის საზოგადოებათაგან ხმა-
სანი ამოირჩიონ, ან როგორ განიყოფებიან სარწმუ-
ნეობით, და ე) საზოგადოდ ყველა ის სტატისტი-
კური ცნობა, რომელიც ხსენებულს გუბერნიაში
ერობის წეს-წყობილების შემთხვების შესახები საგ-
ნის განსახილველად საჭიროა.

აქედან ცხადათა სჩანს, რომ მართებლობას
ჯეროვანი უურადღება მიუქცევაა ამ საქმისათვის
და დანარჩენი ჩვენი სასოგადოების გამჭრა-
ხობაზეა დამოკიდებული.

აჩანი აშშები და შერი შერები.

პირველი ამ ოვიდან ქუთაისის სასულიერო სას-
წავლებელში გაიმართა კურსები, რომელზედაც
მოწვეულნი არიან იმერეთის და გურია-სამეგრელოს
სამრევლო სკოლების მასწავლებელნი. კურსები
გაგრძელდება ათ ავესტომდე. თითოეულ მასწავლე-
ბელს დღეში 36 კ. აძლევენ ხარჯის ფულად.

* * *

ბ. ივანე მაჩაბელს აპერაცია (რეზექცია) გაუ-
კეთეს. ავად-მყოფი შესამჩნევად მთელდება. ჩვენში
რომ იტყვიან „სიკვდილს ხელიდან გამოგლიჯესო“,
სწორეთ ბ. ი. მაჩაბელზე ასრულდა. რაა კაცის ხა-
სიათი! მისი მტრებიც კი სწუხდენ მის მძიმე ავად-
მყოფობაზე.

* *

ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის სარევი-
ზიონდ დანიშნული პირი მოიღინენ თფილისიდან
ქუთაისში და დაათვალიერეს ხსენებული სასწავლე-
ბელი. ამ სასწავლებლის ინსპექტორმა ბ. ს. ბ. ღო-
ლაბერიძემ თხოვნა შეიტანა სამსახურიდან დათხოვ-
ნაზე. მისი თხოვნა შეიწყნარეს, იგი დაითხოვეს და
მის ადგილზე ბ. გარსევანაშვილი დანიშნეს. ჩვენ
მიერ გამოთქმული აზრი, ბ. ღოლაბერიძის ამ სას-
წავლებლის ინსპექტორად დანიშნის დროს, გა-
მართლდა.

* * *

არ გვჯერა, რომ სადმე ქუთაისისთანა მტვერი-
ანი ქალაქი იყოს რუსეთის ვრცელ სახელმწიფოში.
არც ის გვჯერა, რომ ქალაქის თვით შმართველობას
ასე უყურადღებოდ მიეტავების ქალაქი. დღეს, 27
ივნის გარეთ გამოსვლა არ შეგიძლიათ; მტვერის
კორიანტელი დაგახრჩობსთ. როგორც გავს, აქაურებს
ქუჩების მორწყვა დიდ მავნებლად მიაჩნიათ ჯანმრთე-
ლობისათვის და ამიტომ იღრჩობა ხალხი მტვერით.
მერე სად? იქ, სადაც შეა ქალაქში რიონი მიმდინა-
რეობს. ქუჩები სადაც გააკეთეს, საგანგებოდ დააყა-
რეს მტვერიანი სილა და ამისთვის აღარ შეუძლია
კაცს ქარიანში გავლა...

ეხლანდელი ქუთაისის მდგომარეობა ძალა უნე-
ბურად მოგანატრებს ძველებულ ქალაქის გამგეობას,
როცა მტვერი მაინც არ იღრჩობდა კაცს და არც
ქალაქის შმართვა-გამგეობაზე მიღიოდა ამოდენი
ხარჯი-რაც დღეს მიღის.

* * *

ტფილისის მცხოვრებს პავლე ოდიკაძეს, ხელო-
ბით დურგალა, გამოუკონია და გაუკეთებია სულ
ახალი კეგრი. ამ კეგრს კაუის მაგიერად წერილი ხერ-
ხები აქვთ ჩასმული რიგ-რიგად ისე, რომ მარტო
კბილები მოახან ქვემოთვან. ოდიკაძე ამბობს, შარ-
შან გამოვცადე კალოზედ და ამ კევრით ლეწვა
ერთი ხუთად უფრო ადრე და ადვილად მოვასწარიო.
კევრი სრულებით არ აზიანებს მარტვალა. თათო
კევრს მარტო ხუთის მანათის წვრილი ხერხი უნ-
დება. ამგვარად სულ დიდი კევრი პავლე ოდიკაძი-
სა ერთ თუმანზედ მეტი არ ელირება. თვალ პავლე
ოდიკაძემა სთქვა: ფიქრად მაქვს კევრი ისე მოავმარ-
თო ველოსიპედთან, რომ ერთს კაცს შეეძლოს გა-
ლეწვა და მაშინ კალოსთვის აღარც ხარი იქმნება
საჭირო და არც ცხენიო.

კევრის ნახვა შეუძლიან ყველა მსურველს პავ-
ლე ოდიკაძის საკუთარ სახლში, ტფილისში, ნორ-
ოს ქუჩაზედ, № 18. („ივერია“).





სწორი და მეტნიერება ქრისტიანობის სამართლებასა და ქრისტიანული ზნების ზე

სიზეგმა,

კო-ს ივნისს, პეტრე პავლობის დღეზე.

თქმული განსვენებულის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ.

მომბაძავ ჩემდა იყვნენით, ვითარცა
მე ქრისტეს. (ა. კორ. ე, ივ.)-

რისთვის შეკრებულ ვრთ ჩვენ დღეს, ძმან ჩემნ ქრისტიანენო, ეპიფანიასა ამას შინა? მისთვის, რათა სიუვარულითა და კრძალულებითა აღვარულოთ ხსენება უმთავრესთა მოციქულთა პეტრესი და პავლესა, ვადიდოთ იგინი, ანუ



თავი მოციქული პეტრე და პავლე.

უმჯობეს არს თქმათ, მადლი ღვთისა, რომელი გამოჩენდა მათ მიერ; ცხოვლად წარმოვიდგინთ მათი შრომა და ცხოვრება და კეთილითა ამით მაგალითითა განვაღებიძოთ თავნი ჩვენნი ბაძვად მათდა. ვითარცა იგინი იყვნენ მიმბაძავნი ქრისტესი: «მომბაძავ ჩემდა იყვნენით», გვეტივის მოციქული ჰავლე „ვითარცა მე ქრისტესა. მაგალითისა და საქმესა კაცისასა უმეტესი მოქმედება აქვს გულისა ზედა ჩვენსა, ვიდრე სიტყვიერსა დარიგებასა და შეგონებასა. სიტყვა კაცისა ესოდენ ვერ მიიზიდავს და ვერ განალვიძიბს სულისა ჩვენსა, რაოდენ წარმოდგენა ცხოვრებისა წმიდათა კაცთასა. მათ თვით საქმით ადასრულეს მცნება ღვთისა, ამათ მოიყვანეს არსებაში სჯული ქრისტესი, ამათ მოგვცეს ჩვენ ცხოველი ხატი სათნოებისა და გვაჩვენეს, თუ ვითარ ჯერას ჭარბობა ცხოვრებისა მსგავსად სახარებისა. აჭა მიზეზი, რომლისათვისაცა წმიდამან კვალესიამან დაწესა ხსენება წმიდათა და ხშირად შეგვერებს ჩვენ სმენად მათისა ცხოვრებისა და მათთა საქმეთა. მივიქცეთ უმთავრესთა მოციქულთადმი და ვიხილოთ, რა მაგალითი და რა სულიერი შოძლვობება გვაჩვენებს ჩვენ მათ ცხოვრებასა შინა მათსა. არა შეგვიძლიან ჩვენა აღვაწეროთ უღველნი მათნი საქმენი და ცხადად წარმოვიდგინთ უღველი მათი სულიერი მადლი და დიდება; გარნა მოვიხსენოთ მაინც, რასა შინა მდგომარეობდა მათი ღირსება და რომელი იყვნენ მათნი უმჯობესნი თვისებანი.

პეტრეს თვით ქრისტემან უწოდა კლდედ. «ძერ რალ კლდე», — რქვა მას უფალმან, და «კლდესა ამასა ზედა აღვაშენო ეკელესია ჩემი».... კლდე იუო სარწმუნოება მისი; მას აქვნდა სარწმუნოება მტრიცე და შეურყეველი, ვითარცა კლდე.

პავლე იუო ზღვა სიუვარულისა; უღველნი მისი წერილნი ცხად ჰყოფენ, თუ ვითარი საუნჯე უმ გული მისი, ვითარი განუსაზღვრებელი სიუვარული ჰქონდა მას უგველთა მისთა მოწაფეთადმი. აჭა ორნი უმთავრესნი ღირსებანი წმიდათა ამათ თავ მოციქულთა. ამათ ორთა სათნოებათა ზედა დამყარებულ-არს ეგველესია და სჯული ქრისტესი. შეურყეველი სარწმუნოება და სრუ-

ლი სიუვრული უნდა ჰქონდეს ყოველსა გაცხა, რომელსა სერს, რათამცა იუს ნამდვილი და ჟეშმარიტი ქრისტიანე.

ახლა ვიხილოთ, რა სარით გამოჩნდენ ცხოვრებასა შინა პტირესა და პავლესასა ეს ორნი თვისებანი; რა აქმნევინა სარწმუნოებამან პეტირეს; ვითარი ნაყოფი გამოიღო ღიღმან სიყვარულმან პავლესმან ცხოვრებასა შინა მათსა. დღეს წარკითხულისა სამოციქულოისაგან გვესმა ჩვენ, ვითარი იუს ცხოვრება პავლესი. ცხოვრება მისი იუს ერთი გაუთავებელი შრომა, ჭირი, განსაცხელი. ყოველნი მოციქულნი და უმეტესად პეტირე და პავლე იუვნენ ქვეუანასა ზედა ვითარცა ცხოვრები შორის მგელთა; ყოველს წამს მოძლოდენი და მომზადებულნი დათხევად სისხლისა მათისა და შეიწირვად ცხოვრებისა; გარნა არ მიმწვედელნი ესთდენისა ჭირისა, პეტრე სარწმუნოებითა მისითა ყოველ წამს მოაქცევდა და განაცოცხლებდა გაცთა, ცოდვათაგან მკვდართა, ხოლო პავლე განანათლებდა და ნუგეშ-სცემდა სიუვრულითა თვისითა მრავალთა პირთა. ორთავებ განავრცხელა პირთა ზედა ქვეუანისასა საღმრთო სჯული და დამყარა მრავალნი იყლესინი.

რა განამტკიცებდა და რა აძლევდა ძალისა და ღინესა ორთა მათ მოციქულთა შორის ესთდენთა ჭირთა და ჟევნულებათა? როგორ არ მოეწყინათ მათ და როგორ გასძლეს ქვეუანასა მას შინა, მოკლებულნი ყოვლითა ნუგეშითა და ყოვლითა სოფლიურითა წარმატებითა? მათი სიმტკიცე და მათი ნუგეში იუს იგივე სარწმუნოება და სიუვარული. პეტრე არა-თუ ითმენდა სულ-გრძელად უოველსა ჟევნასა და განსაცხელსა, არამედ უხაროდაცა, ოდეს მიიღებდა ქრისტეს გელისათვის განსაცხელსა; პავლე, აღვესებული სიუვარულითა, თვით ამ სიუვარულსა შინა ჭირვებდა თვისისა ნუგეშსა.

აჳა დიდი მაგალითი შენთვის, ძმაო! ეცადე და შეიძინე ესთდენი სარწმუნოება და სიუვარული, რათა ყოველი შენინუგეში მდგომარეობდეს აღ-სარულებასა შინა ქრისტეს მცნებათა. შენ უნდა სარულიად მიანდო თავი შენი ღმერთსა. ბუნებასა კაცისასა აქვს ის თვისება, რომელ კაცი ყოველთვის ეძიებს რომელსამე ბედნიერებასა და

ნუგეშსა. გაუძნელდება ქვეუანასა ზეთა ცხოვრება იმ კაცს, რომელსაც რა აქვს არცა ერთი ნუგეში და ბედნიერება ამ სოფელში; გარნა შენ, ძმაო ჩემო, ეცადე, რომ შენი ნუგეში და ბედნიერება იუსს სარწმუნოება, ღვთისა და მოყვსისა სიყვარული, სიმართლის აღსრულება. ფრიად-საჭირო არს და საშიშო, უკეთ არა-ოდეს ესენი არ გახსოვს, ან სრულიად გავიწუდება და ცალად მისა ხედავ ბედნიერებასა შენსა სხვათა რომელთამე სოფლიურთა ნივთთა, ანუ მოქმედებათა შინა. სადაცა არს საუნჯე შენი, მენ იუს გული შენი, გვეტუვის უფალი: უკეთ საუნჯე შენი არ არის ღმერთი და ღვთისა სჯული, არამედ სხვა რამე, მაშ გული შენი განეშორება ღმერთსა. მოციქულთა პეტრემ და პავლემ საუნჯე მათი დასდვეს ღმერთსა შინა; ამისათვის გულიცა მათი ჭირვებდა განსვენებასა საქმეთა შინა ღვთისათა. ნუ გგონია, ძმაო ჩემო, რომ იგინი იუვნენ მოკლებულნი რომელითამე ნუგეშითა და კმაყდებულებითა, ვგონებ, რომ თვით ის კაცი, რომელიც ეძიებს და კიდეც შეიძინებს იმ სოფლის ბედნიერებასა და ხუგეშსა, ვერ იქმნება თვით ამ სოფელში ისრეთ ნეტრი და ბედნიერ, როგორც იუვნენ მოციქულნი პეტრე და პავლე. მართალია, იგინი იუვნენ, ვითარცა ვსტერით, დევნელნი უოვლითა იმ სოფლის უბედურებითა; გარნა სული წმიდა, რომელი სუფეს გულსა შინა მართალთასა, ყოველთვის მისცემს მათ ისრეთსა ნეტრალებასა, სისარულსა და ბედნიერებასა, რომლისა მსგავს ვრაოდეს ვერ იგრძნობს ცოდვილი კაცის გელი. იმავე სამოციქულოსა შინა, დღეს წარკითხულსა, პავლე მოციქული მოგვეთხობს ჩვენ, ვითარ იგი იუს და აქმნებ, სიმტკიცე სიმტკიცე და მენ ესმა სიტუაცია, რომელთა ვერ გმოსთქმას ენა კაცისა. ესრეთსა ნუგეშსა ძალების უოველთვის სული წმიდა მართალსა და ღვთისათნოსა კაცსა, რომელმა სისარული ანუ რომელი სოფლის ნუგეში დამსგავსება იმ სისარულსა და მოსვენებასა, რომელსა გრძნობს კაცი ღვთისა მოშიში? უველი ამ სოფლის სისარული და ნუგეში არის მოკლე და აქვს უველთვის მწრებოლო; გარნა სისარული სულისა წმიდასა გააცხოველებს კაცსა. ამას ვეძიებდეთ, ძმანო ჩემნო, და ამას მოვითხოვდეთ ბარადის ღვთისაგან მადლითა და შეწევნითა წმიდათ უმთავრეთა მოციქულა პეტრესა და ვ ვლესითა. ამინ.

საეჭვო კითხვების განმარტება.

კითხვა. შეიძლება თუ არა მღვდლად კურთხევა სე-
მინარიაში კურს დამთავრებული დამქვრივებუ-
ლი მთავარ-დიაკვნისა, რომელსაც ათი წელი-
წადი უმსახურნია ამ თანამდებობაზე?

მიგება. კანონიერი დამაბრკოლებელი მიზეზი არა
არის რა, მაგრამ ამის გადაწყვეტა, თანახმად
კონსისტორიის წესდებულებათა მე-70 სტა-
ტიისა, ეყუთვნის მღვდელთ-მთავარს. შეუძლია
მან გადაწყვიტოს ეს საქმე, ან მღვდელთ-მთავრის,
მოხსენებით უწ. სინოდმა.

კითხვა. ვალდებულია თუ არა მღვდელი წერა-კი-
თხვის უკოდინარი სტაროსტის მაგიერ თვითონ
აწარმოოს ეკკლესიის შესავალ-გასავლის წიგ-
ნები?

მიგება. არ არის ვალდებული. თუ სტაროსტამ წერა
არ იცის და ანგარიშის წარმოებაც არ შეუძლია, მაშინ
მღვდელს გარდა კრებულის სხვა რომელიმე
წევრმა უნდა აწარმოოს შესავალ-გასავლის
წიგნი.

კითხვა. აქვს თუ არა უფლება მღვდელს მოთხოვოს
მედავითნეს კალოშების, ჯოხის, ტანისამოსის
და სხვა რამე ამისთანა ნივთების მოტანა და
ამისთანა ბრძანების აღუსრულებლობისათვის
შეუძლია გაუწყეს მღვდელი თავის მედავით-
ნეს? ანუ შეუძლია თუ არა მღვდელს შემოსუ-
ლი ხორავი წამოაღებინოს თავის სახლში მე-
დავითნეს?

მიგება. არა აქვს უფლება და არც გაწყრომის ნება
აქვს, თუ მედავითნემ არ შეასრულა ეს მოთ-
ხოვნილება. მღვდელს შეუძლია მოთხოვოს მე-
დავითნეს მისი პირდაპირი მოვალეობის ასრუ-
ლება და არა თავის კურძო საქმისა.

კითხვა. თავისუფალნი არიან თუ არა მედავითნენი
ბლალოჩინის ქაღალდების ტარებისაგან, ან ეს და
რედ წოდებული ქაღალდების მატარებლის და-
საჭირავებელი ფულის გადახდისაგან?

მიგება. თავისუფალნი არიან მხოლოდ იქ, სადაც
საბლალოჩინო მაზრის სამღვდელოებას და სა-
სულიერო მთავრობას ჯამაგირი იქნეს დანიშნუ-
ლი ბლალოჩინებისათვის.

შეწირულებანი.

ჩვენ მივიღეთ უურნალში დასაბეჭდათ შემდეგი
წერილი ეკკლესიის სასარგებლოდ შეწირულებათა
გამოსაცხადებლად:

მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ,
რომ თქვენი პატივცემული «მწყების»-ს საშუალე-
ბით გულითადი მაღლობა გამოუცხადო სამიქაოს
ორ კლასიანი სამრევლო სკოლის შენობის აღმაშე-
ნებელ კომიტეტის წევრთ: მანუჩარ სეხნიას ძეს მი-
ქადეს, ალექსი გიორგის ძეს ბოკერიას, ალექსი უტუს
ძეს მიქაძეს, რომანოზ ბუჭალიას ძეს, სოფრომ გი-
ორგის ძეს წივწიმაძეებთ, ალექსანდრე ჯიქიას და
ბესარიონ ანდრიას ძეს დარსმელიძეს. და მედავითნეს
თომა ივანეს ძეს ჯანუაშვილს, რომლებთა საშოა-
ლებით და დაულალების შემწეობით აღვაშენე სკო-
ლის შესაფერი შენობა, რომელშიაც დაიწყო სწავ-
ლა 12 მაისიდან ამა წლისა. ეგრეთვე მაღლობას
ვსწირავ სოხუმის მცხოვრებს როსტოკ ბუჭალის ძეს
კარანაძეს, რომელმაც შემოსწირა სკოლის შენობას
სამი მანეონი ფულად.

სამიქაოს წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვდელი

თომა კარანაძე.

მილება ხელი-მოწერა 1897 ფლისათვის ორ
კვირულ გამოცემათა ჩართულს

„გოგის“

რუსულ „ПАСТЫРЬ“

ქურთალის ფასი:

12 თვით **«მწყემსი»** 3 მ. 6 თვით **«მწყემსი»** 2 მ.
— „რუსული „, 3 მ. — „, რუსული „, 2 მ.
— „ ორივე გამოცემა 5 მ. — „, ორივე გამოცემა 3 მ.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც
ევროპის, ავრეთვე ქუთაისშიან. თბილისში
წერა-კარხანის გამარცელებელ საზოგადოების წიგნის
მაღაზი, ბ. შიო ქურუკაშვილთან. ფათში — დეკა-
ნობ. გრიგოლ მაჭაროვთან; საჩერებელი — ყარა ან
ჩხერებთან; ახალგიბეში — დეკანობ. ბ. ხახუტოვთან.
ახალგიბეში — საულიერო სასწავლებლის მასწავლე-
ბელ სპარლონ ან. მაჭარაძესთან.

სოფლის მასწავლებელთ და ლარიბო გაზეთები დაეთმო-
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანეთა დ.
რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილე-
ბის სახლებში და ყვითლაში რედაქტორის საკუთარ
სახლებში.

გარეშე მცხოვრებთა კურნალის დაბარები შეუძლიან
ამ აღნებით: Въ Квирили, въ редакцію газеты
журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

შინაგან და ნერვებით ავათმუოფებს მიღების

ექ. ს. ბ. თოვლის აუკრიცხადა

ნიმუში შარდით და სიფილისით

ექ. ვ. კ. გერლათი.

დედაქაცურ ავათმუოფთა და საბებიოს ქალი

ექ. მ. ვ. კაგანი.

თვალების ავათმუოფისათვის

ექ. ი. კ. გარშავსკი.

რჩება დარიგების ფასი 50 კ., კონსი-
ლიუმის ფასი 3 მ. დღე და დამე ქირა სა-
ავათმუოფოში სრული ხარჯით და ექიმობით
2—3 მანეთამდე. აზერაციის ფასი გარიგებაზეა,
სამუშაონალოს ღირებულობის ს. ბ. თოვლის.

გამოვიდა და ისეიდება

შეთაისში — ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში, ბ. ნ.
ლალიძესთან, და თბილისში ბ. მედაშვილის და
შეთაისში ქელიძის წიგნის მაღაზიაში
ბართ. კილაძისა და ალ. რუხაძის გამოცემა

ვ ე ც ხ ი ს ტ უ ს რ ს ნ ი ს
შესახისავი აღგილები

♦ და რამდენიმე ლექსი.

ამ წიგნაკში მოთავსებულია მამია გურიელისა —
„აღამიანი“, „ზიცი“, ჩემი „ალავერდი“; აკაკის —
„შოთა რუსთაველის სურათზე“ და ა. ზაბეგისა —
„გუთნის დედა“. წიგნაკში ჩართულია გრეთვე
შოთას სურათი, შეიცავს 40 გვერდს და ლირს 5 კ.

კრძო სააგათმოცო აგზულათორითური

ს. გ. თოვლის

ქუთაისში.

სააგათმოცოში დგას ორ მოცი საშოლი
ხილურგიულ, გინეკოლოგიულ და შინაგან სენით
ავათმოცოთათვის. მუშუკებიანი და გადამდები სენით
ავათმოცონი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმოც-
ნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3
საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 30 июня 1897 г. ♦ Цензоръ прот. Е. Еліевъ.

Типог. редакції журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъхъ, на Нѣмецкой ул.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

სალიტერატურულ განცოლის განმარტება: განმარტება სი-
რყვებისა, რომელიც დაწერილია მღვდლის მკერდის ჯვარზე.
— საზარელი და საშინელი შემთხვევა. — მაღალ ყოვლად უსა-
მღვდელოები ფინანსების მთავარ-ეპისკოპოსი ანტონი ლონ-
დონში. — პენზის გუბერნატორი ფანჩულიძე. — ზეპირ-სიტუ-
აციანის ფონდის საქე. — უურნალ-გაზეთთაგან. — ერაბის შემთ-
ხვების შესახებ ჩემში. — ახალი ამბები და შენიშვნები.
სეავლა და კოთილ-ზეობაზე: სიტუა, თქმულ პეტრე-
პავლობა დღეს განსა, იმერეთის ეპისკ. გაბრიელის მიერ.
საპირო და სასაჩივაზლო ცხობათა განცოლი-
ლება: საჭვალ კითხვების განმარტება. — განცადება.